

K 3608
3

ქართული კენჭები
III საისტორიო მწარლობა
№ 2.

ლაშა-გიორგის-დროინდელი
მემატიანე

გამოსცა
ივანე ჯავახიშვილმა



ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა

ტ ფ ი ლ ი ს ი
1927

ლამა-გიორგის-დროინდელი
შემატანე

MONUMENTA GEORGICA

III. HISTORICI

№ 2.

CHRONICON ANONYMUM

TEMPORE REGIS LAŠA-GEORGII SCRIPTUM

EDIDIT

JOHANNES DAVACHIŠVILI

Sumptibus Universitatis Tphilisensis

T PHILISIIS

1927

ქართული კომლავი
III საისტორიო მწერლობა
№ 2.

*ნ. ნ. ყოშიძე-იშაიძე
ნიკე, ზოგად.*

ლაშა-გიორგის-დროინდელი
მემატიანე

გამოსცა
ივანე ჯავახიშვილმა

~~3-K~~ 3608
3



ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა

ტფილისი
1927



დაიბეჭდა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის
საბჭოს დადგენილებით (1927 წ. მარტის 30-ს. ოქმი № 3).

მდივანი: დოც. **ს. ყაუხჩიშვილი.**

წინასიტყვაობა.

წინამდებარე ძეგლი, რომელსაც არც სათაური და არც აღმწერელი უჩანს და 1916 წ. გამოსულს ჩემ გამოკვლევაში „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ პირობითად „ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანე“ ვუწოდე, სრულად ანა დედოფლისეულ ქცაშია დაცული (იხ. „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ I გამოცემა გვ. 191 — 193). ერაჯ ქალაშვილისეულ ქცის ხელთნაწერშიაც ამ ნაწარმოების პირველი, სახელდობრ დიმიტრი I-ის მოღვაწეობისა და მეფობის ამბების შემცველი ნაწილი აღმოჩნდა (იხ. ჩემი. „ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე, აქამდე უცნობი, ისტორიკოსის თხზულება: ტფ. უნივერსიტეტი 1923 წ. III, 198 — 199). ამნაირად ამ ძეგლის ტექსტის აღსადგენად ორი ხელთნაწერი გვაქვს, რომელთაგან ანა დედოფლისეული ქცა მე-XV ს-ის დამლევისა, ერაჯ ქალაშვილისეული კიდევ მე-XVI-XVII ს-ისაა (იხ. ჩემი „ძველი ქართ. საისტ. მწერლობა“ I გამოცემა გვ. 256-260 და „ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება“ ტფ. უნივერსიტეტი III, 1923, 187).

მემატიანეს თავისი ნაწარმოები, როგორც ეს „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის“ მიმოხილვაში გამოჩვენებული მაქვს (იხ. გვ. 192), 1222-3 წ. აქვს დაწერილი. ერაჯ ქალაშვილისეული ქცის ხელთნაწერი, რომელსაც სიმოკლისათვის B ხელთნაწერს ვუწოდებთ, გადაწერილია ანა დედოფლისეული ქცის ანუ A ხელთნაწერის დედნის მსგავსი ხელთნაწერთგან. მას ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანის თხზულებაც უნდა ჰქონოდა ბოლოში სრულად, მხოლოდ B ხელთნაწერის გადაწერს, რაკი თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებაც დაურთავს ბოლოში, ამიტომ გიორგი III-ისა და თამარ მეფის შესახები ცნობები, რომელიც ლაშა-გიორგის-დროინდელ მემატიანეს მოეპოვება, თავის ხელთნაწერში აღარ ვაღმოუწე-

რია, რათგან გიორგი III-ის შესახებ მოკლედ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსსაც აქვს ნაამბობი. ჰქონდა, თუ არა, ლაშა-გიორგის შესახებ რაიმე ცნობები B ხელთნაწერს, არ ვიცით, რათგან ამ ხელთნაწერის თავდაპირველი შემადგენლობის ბოლო დაკარგულია და ამის გამო თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულების მეორე ნაწილიც-კი შენახული არ არის.

ლაშა-გიორგის-დროინდელ მემატიანეს თავისი თხზულება კლასიკური ქართული სამწერლობო ენით აღუწერია. მაგ. მას ნათქვამი აქვს: „ქმნა ომნი და ბრძოლანი“, „მხედველნი მისნი განაკუირნა“, „გააქცივნა სუქმანეთნი“.

რიცხვითი სახელებიც ჩვენს ავტორს ძველი ფორმით აქვს ნახმარი, მაგ. „ათორმეტისა“, „ორმეოცდა ათი“. რათგან ამნაირი ფორმის შეტანა მერმინდელ გადამწერს არ შეეძლო და უფრო ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ მას თავისი სასაუბრო ენის შესაფერისად, პირიქით, დედნის ძველი ფორმები გადმოწერის დროს უნებლიეთ ახალ ფორმებად შეიძლება შესცვლოდა, ამიტომ „თორმეტი“, „ცამეტი“ „თხუთმეტი“, „თურამეტი“, „სამოცი“, „ოთხმოცი“ უნდა მერმინდელ გადამწერთაგან შეტანილ ცვლილებად მივიჩნიოთ. ამისდა გვარად ქვემოთ დაბეჭდილ ტექსტში რიცხვითი სახელების ძველი ფორმებია აღდგენილი, მაგრამ სქოლიოებში AB ხელთნაწერების წანაკითხი ყოველთვის აღნიშნულია.

ლაშა-გიორგის-დროინდელ მემატიანეს „ვ“ ასოც უხმარია და რამდენსამე აღგილას „გვრგვნი“ უწერია, მაგრამ ზოგან „ვ“-ს მაგიერ „უი“ არის ნახმარი, მაგ. „გუირგუიროსანი“, ან „შვილი გუირგვნის ცოლსა თანა“ სწერია. მართლწერის ასეთი აღრევაც მერმინდელ გადამწერთა ნაყოფი უნდა იყოს და ამის გამო ასეთ შემთხვევებში „ვ“ აღდგენილია სქოლიოებში ხელთნაწერების წანაკითხის აღნიშვნით.

„დაა“ სიტყვაში ბოლოკიდური ბგერა „ა“ ასოთი არის აღბეჭდილი, რაც ამ დროის ძეგლების დამწერლობაში განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენს. გამოცემულ ტექსტში ასეთ შემთხვევებში „ა“ აღდგენილია სქოლიოებში ხელთნაწერთა მართლწერის აღნიშვნით.

თარიღების გადაწერის დროს გადამწერთ ორგვარი შეცდომა მოსვლიათ: ან მათ ქრონიკონის ასეულის რაოდენობის აღნიშვნა დავიწყებითა და დაუწერიათ მაგ. „ასოცდა თხუთმეტი“ ოთხას ოცდა თხუთმეტის მაგიერ, ან რიცხვნიშნებით დაწერილი თარიღის პირველი ასო „უ“ 400 ის აღმნიშვნელი, „უ“-ად წაუკითხავთ და სიტყვებით რვაასად გადაუწერიათ. ამნაირად AB ხელთნაწერში სწერია „რვაას ოცდა შვიდა“, „რვაას ცამეტსა“, „რვაას ორმოცდა ორსა“ ოთხას ოცდა შვიდისა, ოთხას ცამეტისა და ოთხას ორმოცდა ორის მაგიერ. სრულებით არეულია, როგორც „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნში აღნიშნული მაქვს, თარიღი, რომელიც თითქოს თამარ მეფის გარდაცვალებას უნდა ეხებოდეს. დედანში ამ აღგილას საფიქრებელია ორი თარიღი იყო, ერთი თამარის ქმრის დავით სოსლანისა, მეორე კიდევ თვით თამარ მეფის გარდაცვალების ქრონიკონისა და სხვა ცნობების შემკველი. ერთერთ გადამწერს შეცდომით დავით სოსლანის 23 წლის განმავლობაში მეფობის შესახები ცნობა და გარდაცვლის თარიღი გადმოუწერია, თამარის შესახები ცნობა-კი გამოჩენია. რათგან ამის შესწორება შეუძლებელი იყო, ტექსტი უცვლელად არის დატოვებული.

ლაშა-გიორგის დროინდელ მემატინეს თავისი მოთხრობა ოთხ მეფობად აქვს დაყოფილი. სათაურები ყველგან გამოყოფილი არ არის, არამედ ყოველთვის წითურად სწერია. მოთხრობაც წესიერად დალაგებული არ არის და შინაარსის მხრით ნახტომი ხშირად გვხვდება: მომდევნო ცნობა წინამავალ ამბავს არ უდგება. ტექსტის განკვეთილობისა და სასვენ ნიშნებად A ხელთნაწერში სამწერტილია (∴) ყოველი სიტყვის შემდგომ და აზრის დამთავრებისას, ხოლო B ხელთნაწერში: . არის ნახმარი ყოველი სიტყვის შემდგომ, სასვენი ნიშნები B ხელთნაწერს არა აქვს.

ჩვენს გამოცემაში ხელთნაწერების ეს ნიშნები დატული არ არის და ტექსტიც შინაარსისდა მიხედვით მუხლებად არის დაყოფილი, რომ ამნაირად ყოველი ახალი ცნობა მკაფიოდ გამოყოფილი ყოფილიყო.

გვ. 17⁵⁻⁶-ს ზმნა აკლია, გადაწერს გამორჩენია, ხოლო ამავე გვერდის მე 3-ე სტრიქონში „მშობლისავე მსგავსი შობისა ლაბა“-ს, რომელიც ლაშა-გიორგის ეხება, „ლაბა“ შეიძლება გრაფიკულ-ხედვითი შეცდომით „ლაშა“-საგან წარმომდგარად გვეგულისხმა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ლაშა-გიორგი ამ ძეგლში ექვსჯერ არის მოხსენებული, და არც ერთხელ მემატიაზე თამარ მეფის ძის ამ მეტსახელს „ლაშა“-ს არ ხმარობს და ყველგან მხოლოდ გიორგის სახელით ჰყავს აღნიშნული. ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს მემატიაზე ამ მეტსახელის ხმარებას გაუზრბოდეს. რათგან ამასთანავე „ლაბა“-ს ლაშად შესწორების შემდგომაც ტექსტი მაინც მთლად უზადო ვერ ხდება და ავტორის პირვანდელი წანაკითხი დამახინჯებული ჩანს, ამიტომ მემატიაწის ეს ადგილი უცვლელად დავტოვეთ. იქნება აქ რაიმე იშვიათი სიტყვა იყოს ნახმარი. ამნაირადვე გვ. 18₁₀-ში ნახმარი „მშობლისობითგან“ ორი სიტყვის შეცდომით შენაერთებს წარმოადგენს, მაგრამ „ობითგან“ რომელი სიტყვის დამახინჯებად უნდა იქნეს ცნობილი, ძნელი სათქმელია. ქართული კონკორდანისი უქონლობის გამო სამწუხაროდ საღმრთო წერილითგან ამოღებული ყველა ადგილების გამორკვევა ვერ მოხერხდა, რათგან გერმანული და რუსული კონკორდანისების საშუალებითაც ყველა ამ ძეგლში დასახელებული ციტატების პოვნა შეუძლებელი იყო. ნაწილობრივ ეს უნდა იმ გარემოებით აიხსნებოდეს, რომ მემატიაწის საღმრთო წერილის ადგილები სიტყვა-სიტყვით მოყვანილი არა აქვს, არამედ თავისებურად გადაუკეთებია, მაგალ. გვ. 19₆-8 ნათქვამი „იტყუის დავით, მამა ღთისა «იქმნეს მშუილდ-რვალისა მკლავნი მისნი და ექმნა შემწედ მაცხოვარება მისი» 17₃₄₋₃₅ ფსალმუნის ტექსტის „ყოენ მშვლდ-რვალისა მკლავნი ჩემნი და მომეც მე შემწე მაცხოვარებისა“ გარდანაკეთებს წარმოადგენს. ამნაირადვე სრული სისწორით არა აქვს მემატიაწის მოყვანილი პავლე მოციქულის სიტყვა რომაელთა 11₃₄₋₃₅—ითგან, რომელიც მატიაწეში 17₁₉₋₂₀ მოყვანილის მაგიერ ასე უნდა ყოფილიყო: „მსიღრმე სიმდიდრისა და სიბრძნისა და მეცნიერებისა

დმრთისაჲ: ვითარ გამოუძიებელ არიან განკითხვანი მისნი და გამოუკულეველ არიან გზანი მისნი! რამეთუ ვინ ცნა გონება უფლისაჲ, ანუ ვინ თანამზრახველ ეყო მას“?

ამიტომ შესაძლებელია მემატინეს 17¹⁵⁻¹⁶-ზე მოყვანილი წინადადება „მრავალ არიან კირნი მართალთანი, იტყუის წინასწარმეტყუელი“ იგავთა 11³¹-ის „უკუეთუ მართალნი ძნიად განერნეს“-ის ანარეკლს წარმოადგენდეს. გამოუტყვეველი დაგვრჩა 11⁸ მოყვანილი სოლომონ მეფის სიტყვები.

რაკი ეს ძეგლი, ვითარცა საისტორიო წყარო, ჩემს გამოკვლევაში „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ უკვე განხილული იყო, აქ ამაზე საუბარი ზედმეტი იქნებოდა და მსურველს შეუძლიან ზემოდასახელებულ წიგნში საჭირო ცნობები ამოიკითხოს.

დასასრულ სასიავოვნო მოვალეობად ვრაცხ გულისთადი მადლობა მოვახსენო ძვირფასს დოც. ს. ყაუხჩიშვილს, რომელმაც ამ ძეგლის გამოცემის ტვირთი შემიმსუბუქა.

1927 წელს მარტის 14-ს.

ლაშა გიორგის-დროინდელი მემობიანე.

ცხოვრება დამატარე მუხისა:.

აღ 4
ბლბ 7

სრულ ყო რა დავით სრბა მეფობრივი ქრონიკონსა საძას
ორმეოცდა ხუთსა და მივიდა დაუსრულღებელსა სუფევასა სა- ბლბ 8
5 უკუნოდ, სიცოცხლესავე შინა მისსა დასუა მეფედ ძე მისი დე-
მეტრე და დაადგა გვრგვნი თუით მისითა კელითა. დაიპყრა
სამეფო ტახტი და საჯდომი მკლავითა ლომებრივითა მისა-
თხრობელად ბრძენთა ქების მოყუარეთა თუის: . იტყუის სო-
ლომონცა მეფე «ყამნი არიან მშუიღობისანი სარწმუნოება
10 მეფეთა. პირველად მოშიში იყო ღთისა, სუიანი და გამარ-
ჯუებული, და სიმაღლესა და სიმდიდრესა შინა მღაბალი, და
გლახაკთა მოწყალე, ობოლთა და ქურივთა განმკითხველი,
საყდართა და ეკლესიათა, მღდელთა და მონაზონთა კეთი-
ლის მყოფელი, შემწირველი სოფელთა და აგარაკთა. დიდე-
15 ბულთა სამეფოსა მათისათა და კარსა ზედა მყოფთა ტკბილად
მოუბარი, უხუი და მბოძებელი. ვითარ გაავრცელა და აღა-
შენა სამეფო მისი: ოდეს დიდმან დავით ტფილისი აიღო, ბლბ 1
ჭერეთი და კახეთი მოირთო, ციხეთა და ქალაქთაგან კიდე
კაცუი არასადა იყო. ჭერეთი, სომხითი, ტაშირი, ჯავახეთი, ბლბ 5
20 ქუენა არტანი და [ზენა] არტანი ამათსა მეფობასა შინა აშენ-
დეს, ტაოს ნაპირნი[ცა]:.

ოდეს ჯერ არა იყო მეფე დიდმან დავით შარვანს გაგ-
ზავნა შვილი დემეტრე და ქმნა ომნი და ბრძოლანი, რომელ

3 ჰყო B.—რა < A.—მეფობითაცა A.— ქორანიკონსა იყო A.—4 ხუთი B.—და
< A. დაუსრულღებელსავე A.— 4-5 საუკუნოდ < A, საუკუნოდ და B.— 5 სიცოცხლესა
A. მისსა < A.— ძე მისი < A.— 6 დადგა B.— გურიგუინი B.— და იპყრა A.— 7,
ხატი B. 10 იყოს B.— 11, და < A.— 12 გლახაკთ A.— 13 საყდართა ეკლესიათა
მღდელთა B. 15-16 ტკბილად მოუბარი მყოფთა A.— 16-17 აშენა A.— 18 ერეთი
A.— 19 არსად A.— ერეთი AB.— 20 ქუენარტანი და არტანი A.— ქუენა არ-
ტანი და B.— 20-21 აშენდა და A.— 22 არ მეფე იყო A.— 23 შვილი დემეტრე
და < A.— ქმნა B.— რომელთა B.

ყოველნი მხედველნი მისნი განაკუთრენა და აღიღო ციხე ქუე-
 ლაძორი და აღივსო ალაფითა და ტყუითა ურცხუითა. გა-
 აქციენა სუქმანეთნი. ოდეს სუქმ[ანე]თნი გააქციენა დემეტრე
 ქრონიკონი იყო სამას ორმოცდა ათი. თავნი ყოველისა სპარ-
 სეთობისა დააკვნა და ამოსწყუილნა და აღავსნა საქურქლენი 5
 და ლაშქარნი მისნი:.

ერთგულთა შემწყნარებელი იყო და შეცოდებულთა სა-
 მართლიანად მწუთრელი. ვინათგან არა სწორი არს ცოდვა
 მღდელისა და მკედლისა და არცა ერისა და მღდელთ მთავ-
 Bლგ 2 რისა, რომელმან იცოდის ნება უფლისა თულისისა და არა ყოს, 10
 იგუემოს ფრიად. ყოველითურთ ემსგავსა ძირსა კეთილსა და-
 ვითიანსა, ხესა ღმრთივ - დანერგულსა და ცხებულთანსა. წა-
 რგლო ცხორება და მიიწია სრულ-ქმნილი სიბერესა, შეიმოსა |
 Aლ 6 ჩოკა და იკურთხა ცრემლითა სქემა და მას უკანის დაყო წე-
 ლიწადი ერთი და მოკულა:.

და დასუეს მეფედ ძე მისი დავით. იმეფა ექუს თუე და
 მოკულა:.

შემდგომად მისსა დაჯდა ძე მისივე გიორგი ქრონიკონსა
 სამას სამეოცდა ათხუთმეტსა:.

ამასვე წელსა დემეტრე მეფე მოკულა და დაჲ დემეტრესი 20
 თამარ, თიღუისა აღმაშენებელი, იგიცა შემონაზონებული გარ-
 დაიცვალა: და დაჲ მისი კატა დედოფალი საბერძნეთს გა-
 თხოვილი იყო:.

ამის დავითის შვილი და გიორგის ძმის წული დემეტრე
 დარჩა და ოდეს ორბელნი უკუადგეს გიორგი მეფესა, იგი 25

Bლგ 3 თანა-უკუიტანეს და ლოქრეს შედგეს. მუნით გამოასხნა ორ-

1 აიღო A.—1-2 ქელაძორი B.—2, და < A.— აივსო B.—
 ტყუითა და ალაფითა B.—3 სუქმეთნი A.— 3-4 ოდეს სუქმანეთნი გააქციენა დე-
 მეტრი ქრონიკონი იყო სამას ორმოცდა ათი < B.— 4 თავი AB.— 5, და < A.
 7 და < A.—8 მწრთელი A.— 9, და < A.— 12 ცხებულთანსა B (შეზღუ
 კს“ შოგანი ამთავსკალია). — 14, და < B.— ცრემლითა < A.—სქემა < B.—
 და მას უკანის < A.— 16, და < A.— დასუა A.— ძე მისი დავით მეფედ A;
 B—ში ამ ცტრადონის ვასწაბაჲ ვადეჭჲ წითურბად სსჲჲ სულით სწურბაჲ:
 დავით მწე.—18 მისა A.—ქრონიკონი იყო A.—ქორანიკონსა B.—19 სამოცდა AB.
 —ხუთი A, თხუთმეტსა B.— 20 მოკულა დემეტრე მეფე A.— დაჲ AB.— 22, დაჲ AB.
 24 და < A.— 25 და < A.— 26 თანა უკუიტანეს A, თანა უკუიტანეს B.— და
 < A.— გამოასხნეს A.

ბელნი მეფემან და იპყრნა და დაკოცნა. და დემეტრე კლდეკართა დასუეს, უკანის თუალნი დასწუნეს და მოკუდა და მცხეთას დამარხეს. ქრონიკონი იყო სამას სამეოც და ათოთხმეტი:

დემეტრე მეფე ბელტის ციხესა მიიკვალა და გელათს წა-
5 რიყვანეს მისგანვე კურთხეულსა ახალსა მონასტერსა. დემეტრე აბულეთის ძესა ივანეს თავი მოჰკუეთა ჩხერეს მერეს მეოცესა წელიწადსა მეფობისა მისსა და მეტებთა დადვა ფიცისა არ ^{ალ 7} გატებისა თვის:.

ცხორება გი მფხისა:.

10 დაჯდა მეფედ გიორგი, უმაღლესი ყოველთა მეფეთასა, მძლე და მორკმული მტერთა და შეცოდებულთა თვის, კეთილად-მსახური ღმერთისა. საყდართა, ებისკოპოზთა, მეუღაბნოვეთა, მღვდელთა თვის კეთილის მყოფელი იყო და უკარბი შეცოდებისა დიდთა და ცოტათაგან. გლახაკთა და
15 ქურივთა თვის მოწყალე იყო და ერთგულთა თვის უზუი და მპოძებელი იყო:.

სპარსეთისა სულტანი, შორს მყოფნი და ახლოს მყოფნი, მეძღუნედ და მოხარკედ მისდა იყუნეს და ყოველნი სანაპირონი სამეფოსა მისისანი უშიშოდ ჰქონდეს:.

20 აილო ანისი, აღრითვან წანაღები თურქთა, ქრონიკონსა სამას ოთხმეოცსა. შეიპყრა სალდუზი, ამოსწყუიტა ყოველი ძალი მისი, მოაღებინა ძღუენი და საქურქლენი რომელი არა აითუალვოდა. და აღივსნეს სამეფო და ლაშქარნი მისნი:.

უშიშად ჰქონდეს განძას სულტანი და ხლათის სულ-
25 ტანი. [და შამისა, ჯაზირისა და არდოხისძე სალდუზი] გააქცივნა და დაკოცნა. და მოვიდა ილდღუზი დიდითა ლაშქართა სპარსეთისათა, დაარბია შავშეთი, კლარჯეთი და გავა- ^{ალ 8}

1 დაიპყრნა AB. — 1,7 და < A. — 2 უკან A. — 2,5 და < A. — 3 სამას სამოც და თოთხმეტი A, სამას სამოცდა ოთხი B. — 6 მოკუეთა A. — 7 მეფობასა A. დეზიდრე ზედიხ შესასყვი 4—8 სცბადქონემა B'ში აბ აბის. შემდეგ B-ში გიორგი III შიფთმის შესასყვი ცნობეში იწყემა, A-საგან განსხვავებული.

17 სურტანი შორს მყოფი და ახლოს მყოფი A. — 19 ქონდეს A. — 21 ოთხ-მოცსა A. — 24 ქონდეს A. — სურტანი A. — 24-25 ხლათის სულტანი გააქცივნა და დაკოცნა B. — 26 ილდღუზი A. — 26-27 დიდითა სპარსეთითა დიდითა ლაშქართა A.

ლის ჯარს (sic) ესრე დაკოცნეს, რომელ მოამბე ერთიცა ვერ წავიდა:

აქა ორბელნი გადგეს. ოდეს ორბელნი გადგეს ქრონიკონი იყო სამას ოთხმოცდა ჩუიღმეტი:.

და აფხაზეთი, სუანეთი და ყოველი სამოქალაქო აქუნდა 5 დაწყნარებით. და ოვსთა და ყივჩაყთა რაოდენი ათასი კაცი უბრძანის მოვიდიან, ეგრეთვე შარვანის სახლი:.

და მოსცა ღმერთმან შვილი გვრგვნის ცოლსათანა ბურდუხანს, მსგავსად აღთქმით შობილისა, ვითარ ანას სამოცილი, რომლისა მიერ გამობრწყინდა სიმართლე და მრავალი მშუი- 10 დობა დღეთა მისთა: . და იმეფა ოცდა რვა წელი და მიიკვალა სტაგირს კახეთისასა თუესა მარტსა ოცდა შუიღსა, სამშაბათსა ვნებისასა და დამარხეს მცხეთას ჟამის სიძნელისაგან და მასვე წელსა გელათს წაიყვანეს:.

ცხოვრება ღიღისა მუხამთ - მუხისა თამარისი:.

15

იქმნა ყოველთა მეფეთა შორის უდიდეს, სუიანი და ბენიერი, ლთის მოშიში, ტკბილი, სახიერი. და თავი ყოველთა კეთილთა ლთის მოშიშება არს და სიმდაბლე. ეკლესიათა და მონაზონთა მოყუარე, გლახაკთა და მოჩივართა განმკითხველი:.

Am 9 საბერძნეთისა, მთაწმიდისა, იერუსალემისა და შავისა 20 მთისა საყდარნი და ეკლესიანი რომელნიმე დარღუეულნი აღაშენნა, მათითა საფასოთა დაიკსნნა ხარკისაგან უცხო თესლთასა. და თუით კელთაგან მისთა სთულისა სამსხუერპლოდ ლთისა და სიწმიდისა სამსახურებელად აკერვინებდა და ეგრე დასდებდეს ეკლესიათა იქი და აქა აღმოსავლეთისათაცა შინა:.

25

ლოცვისა მოყუარე იყო დაუცადებელი: ვითარ მოწესემან ძილისა ლოცვა და ფსალმუნება გარდაიკადა:.

ვაზირთა მისთა და ლაშქართა განურჩისებელი, ღირსთა თუის მშობლურთა წყალობათა მიმფენელი და [ეგვომ], რომელ

3 აქა ორბელნი გადგეს < A. — 4 ოთხმოცდა A. — თარღის წყმეფე A უმაცემს: აქა ორბელნი განდგეს. — 6 რაზდენი A. — 8 გურიგვნის A. — ცოლსათან A. — 18 არს < A. — 20 იერუსალემისა A. — 20-21 შავშეთისა A. — 24 სასახურად A. — 25 იქი < A.

მისსა სამეფოსა შინა ერთიცა მსახური არ განპატივებულა, თუნიერ გუზან ტაოსკარელისაგან კიდე: მას თუალნი დასწუნეს. ვაღმა გასული სპარსეთს ზაქარია ასპანის (sic) ძემან შეიპყრა და დარბაზს მოგუარეს:.

- 5 და რომელ მისა მეფობასა შინა სულტანნი გააქცივნეს, ქალაქნი და ციხენი აიხუნნეს ესე არს: ათაბაგი განძისა გააქციეს ქრონიკონი იყო [ოთხ]ას და რ[ვაჟ]. აღივსო ტყუითა და ალაფითა სამეფო მათი: . მკარგრძელმან ზაქარია მანდატურთუხუცესმან და სპასალარმან, მისმან ძმამან ივანე ათაბაგმან
- 10 აიღეს დვინი მეცხრესა წელსა მეფობისა მისისასა, ქრონი- ალ 10
კონი იყო [ოთხ]ას ოცდა ცამეტი: .

მათვე აიღეს გელაქუნი, ბიჯნისი, ამბერდი და ბარგუშატი, ზემოთ ანისთ (sic) და ვიდრე კუაფრიდისა კადამდის. არა ვის ასმია, არცა ყოფილა სხუა კელმწიფისა ყმა, ვითარ ესენი

15 ერთგულად მსახურებითა სუიანნი და გამარჯვებულნი: .

- მოვიდა რუქნადინი, და თანა ჰყუა ლაშქარი დიმუშკით და ალაბით ამოღმა, წაღებად ამის სამეფოსა. მიეგებნეს ბასიანის ქუეყანასა, გაიქციეს (sic), კოცეს და ამოსწყუიდეს. მოასხნნეს სულტანნი და ამირანი ტყუედ ერზინკიელი, შამე-
- 20 ლი და ბივრიტელი, საქურქლისა ზანდუკთა, ოქროთა და მარგალიტითა სავსეთა, და დროშათა სასულტანოთა, მრავალთა კარავთა, ვეცხლის ქურქელთა და ოქროსათა სადა იყო სიმრავლე. აქლემითა (sic), ჯორითა და ცხენითა აღავსნეს მინდორნი და ველნი. ქრონიკონი იყო [ოთხ]ას ოცდა ათ-
- 25 ხუთმეტი: .

ამისსა შემდგომად აიღეს კარი და ციხენი კარნიფორისა და ვანანდისნი და რაკსის პირის ციხენი და წინა ამისსა ხახულ-ოშკი და ბანა წაელო: .

2 ტაოს კარველისგან A.— 4 დარბაზ A.— 5 სურტანი გააქციეს A.— 6 აიხუნეს A.— 10 დვინი A.— მეორესა A.— 12 ბინჯისი A.— ბარგუშატი A.— 13,1 მეზოთ A.— 16 მუქადინი A.— 19 სურტანნი A.— ეზენკიელი B.— 20 შამბელი და ბივრიტელი A.— 21 სასურტანოთა A.— 24-25 ასოცდა თხუთმეტი A.— 26-27, კარნიფორისა A.— 28 ხახილოშკი A.

ამათ ესოდენტთა ლ¹¹თისა წყალობათა უფროსიცა ლ¹¹თის
 მოშიშება მოემატებოდა. საყდართა || და მონასტერთა დაღე-
 წასა ვერ ვინ იკადრებდა. ქარავანსა ვერ ვინ ძარცუიდა. ამერი
 და იმერი, ძუელი სამეფო მათი აფხაზეთისა, დაწყნარებით
 ჰქონდა, რომელ ერთიცა ქათამი არსად მოიკლვოდა: მპარავი, ⁵
 ავის მოქმედი აღარ იყო. თუ ნაპარვეი ვინმე პოვის, კარსა
 ზედა მიიღის და ღროშათა ქუეშე დადვის. ოვსმან, მთიულ-
 მან და ყიფჩაყმან და სუანმან ვერ იკადრიან პარვა. და იყო
 მდიდრად ესე სამეფო, რომელ აზნაურის ყმანი მათთა პატ-
 რონთა სწორად იმოსებოდეს: ¹⁰

თამარის ქმარი დავით. ის ქმარი იყო ოვსთა მეფე,
 ტომი ბაგრატიონთა (sic), ქაბუჯი და ლომი და მისათხრო-
 ბელი, ამათ ყოველთა გამარჯუებათა და ნაქმართა თანა-დამ-
 ხუდარი და თუთ - მქონელი შემმართველი, მოლაშქრე
 მკუიერცხლი: ¹⁵

დაღეწნეს სპარსეთისა ქალაქნი და მარანდი ამოსწყუი-
 დეს და ერანის ქუეყანა. ესოდენტად სიშორესა შინა მივიდენ,
 რომელ არცა თუ სახელი ქართველობისა ისმოდა:

ორნი შვილნი მიეცნეს: გიორგი და რუსუდან. ამის გი-
 ორგის შობასა ზედა გაილაშქრა და აიღო კარი: ესრე ჩნდა ²⁰
 ბედნიერობა ამისი და თამარ მეფისა:

და ასუ¹²ლი მამის მისისა გიორგისი, რუსუდან დედოფალი,
 იყო ტკბილი და მოწყალე, ნუგეშინის-მცემელი და შემხუე-
 წელი დაქირვებულთა და მზრდელი ჩუილთა და ობოლთა,
 რომელ ღირსნი მათგან ზრდისანი ნაშობთა მათთა წინაშე ²⁵
 მიუსხმიდნან. კელთა მისთაგან ნაქმარი საყდართა და ეკლე-
 სიათა იგზავნებოდა:

მოახლენი მათნი სულტანნი მოხარკედ დასხნა და სამეფო
 განუხეთქელად დაიცვა, ყოველნივე შეიტკბნა და მშუილობა
 ყო ყოველთა თუის. მეფობასა შინა დაყო ოცდასამი წელი- ³⁰
 წადი და აღვიდა წინაშე ღმრთისა, სადა იგი მკუიდრობენ წი-
 ნასწარმეტყუელნი და მამათ-მთავარნი და მეფენი, თუესა იან-

* 1. ესდენტთა A.— 3 ძურციდა A.— 7 და < A.— 12-13 მისათხოვებელი
 A.—17 ესდენტად A.— 20 ჩუენდა A.— 28 სურტანნი A.

ვარსა თორმეტსა, დღესა ოთხშაბათსა, აგარათა სომხითისათა, ქრონიკონსა ოთხას ოცდა შუიღსა, დამარხეს ახალსა მონასტერსა გელათს:

ვაი იყო ჟამისა მის თუის რაოდენ უღბინებელი გლოვა, 5 ტყევა და თმათა თხურა იქნებოდა, ლმობიერებანი, სიტკობებიანი, ღირსთა თუის მშობლურნი ზრდანი და ბოძებანი. საკმარ იყო გულისკმის ყოფა მეცნიერთაგან, მოთქუმა ნუგეშინისმცემელთაგან. იგლოვეა ყოველმან ამან სამეფომან:

Am 13

ჟამსა ჯგროვანსა დასუეს გიორგი ძე მისი მეფედ მასვე 10 წელიწადსა, რომლისა წელნიცა მრავალ-ჟამეულ არიან და ცხორება მათი კეთილად წარმართებულ აქა ცვალებადსა თანა მერმესაცა დაუსრულებელსა:

ცხორება გიორგი მეფისა თამარის ძისა:

ოდეს დაიბადა ქრონიკონი იყო ოთხას და ცამეტი:

15 მრავალ არიან ქირნი მართალნი, იტყუის წინასწამეტყუელი, და ყვლისავე (sic) ბოროტისაგან იქსნენ მოშიშნი მისნი. და კულად მოციქული ჭი სიბრძნე სიმღიდრისა და სიბრძნისა ღთისა, ვითარ გამოუკულებელი არიან გზანი მისნი, 20 ვინ ცნა გონება უფლისა, ანუ ვინ თანამზრახველ იყო.

20 შემდგომად გარდაცვალებისა თამარ მეფეთ მეფისა წარიწირა სასოება ყოველმან ამან სამეფომან, გარნა ღმერთმან გვანმან მრისხანებისა თუის და მოსწრაფემან მოწყალებისა თუის მოსცა მშობელისავე მსგავსი შობისა ღაბა (sic). ათორმეტისა წლისა იყო ოდეს მეფედ დაჯდა ნერგი კეთილი, მო- 25 ზარდი და ყუავილი ყოველთა ფერთაგან შემკობილი, ლომი ძალითა და უმანკო გონებითა, მოყუარული ყოველთა კაცთა დიდთა და [მცირეთა], მთავართა მათითა პატივითა, მონა- 30 ზონთა და მღდელთა მათითა პატივითა, მშუიდი და განურის-

Am 14

2,3 რუას A (განსხვავება წაბზოსდგება „უ“ ბიდსენინის შიღდითთ „ყ“ -ად წავითხელთისსაგან. — 4 რასდენ A. — 14,5 რუას A (წაბზოსდგება „უ“ ბიდსენინის შიღდითთ „ყ“ -ად წავითხელთისსაგან).

20 მას შემდგომად A. — 22 მოსწრაფებისა A. — 24 იყო < A. — მეფე A. — 26 მანყო A. — 27 მცირეთა < A. — 28 მათით A.

ხებელი ბუნებითა, შუიღთა სამეფოთა მეფე მონისაცა ერთისა მათრაკისა არა მკრეველი, მშუილდოსანი და ცხენოსანი გულღვანი და შემმართებელი, რომელ მისითა მკლავითა ომნი დასხნა და გარდაიკაღნა სიმკროსავე შინა სწორნი და ვით პაპის-პაპისა მისისანი. ბედნიერი ლაშქრობითა, ბედნიერი ქუეყანისა 5 ნაყოფთა მოსულისა თვის, დაჭირებულთა განმკითხველი ბქე და მოსამართლე დამხედვარი მეტად ჟამისა და ასაკისა მისისა:

და იყო სამეფო მისი დიდსა დაწყნარებასა შინა და იყუნეს გამგედ და განმზრახად ყოველთა საქმეთა მისთა მისისავე მშობლისობითვან (sic) მკარგრძელი ზაქარია მანდატურთ 10 უხუცესი და ამირსპასალარი და ივანე ათაბაგი. პირველსა მშობელმან მათმან დიდმან თამარ მეფეთ მეფემან გაალაშქრებინა მისსა ბედსა ზედა და აიღო კარი. შემდგომად გაილაშქრა, წარვიდა და შევიდა დიდსა სპარსეთს, გატეხა არღველი, დაღეწნა ციხე-ქალაქნი და აღავსო სამეფო აღაფითა: 15

ამისსა შემდგომად მოწუა და მოარბივა (sic) ხლათისა 15
ამ 15 ქუეყანა, შემოიხუეწა ხლა||თელი და ძღვევაშემოსილმან მას ზედა მისცნა ზავისა სიმტკიცენი მათგან შეუცოდებლობასა შინა წყალობისნი. და სხუა შემოიხუეწა კარნუქალაქელი მოყურად და ერთგულად სახლისა მისისა, ჩადგა ბასიანს და მუნ 20 ითამაშეს და გაისუენეს ერთგან. აიღო კეჩროლი შალვა თორელმან მისითა კრმლითა და ომითა მისათხრობელითა, რომელ არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი:

მეფემან აიღო ოროტო და ყოველნი ციხენი და მიმდგომნი მისნი ვიდრე ნახჭევანამდე და განძას კართამდის, აიღო 25 შანქორი:

და შემოვიდეს უცხო თესლნი სომხითს და ჰერეთს, ევნო რამე მკირედი მათგანცა. შექცეულთა მიეწია ბალის (sic) წყალთა ზედა და პირველი წყულულება მათგან იქმნა. შემდგომ მოხედვითა დ^ეთისათა და ლომობიერ ქცევითა მეფისა გიორგისითა გააქცივნეს და ამოსწყუილდნეს გაქცეულნი. და მეორე- 30

11 პირველსა ზედა A.— 14-15 არღველი A.— 16 მოწუ A.— 23 არა < A.— 26 ბანქორი A.— 27 ერთის A.— 29-30 შემდგომი A.— 31 ამოსწყუილდნეს და A.— გაქცეული A.— და < A.

სა წელიწადსა კულადცა მომართეს და დადგეს ბარდავის ქა-
ლასა. შეიყარა სამეფო მისი და მოირთნა კარნუქალაქისა ლაშ-
ქარნი, დადგა ლომთა-გორსა და აგარათა შუა და ვიდრე ზე-
და მისულადმდე გაექცნეს, განვლეს და რუბანდისა გზა: Aლ 16

5 და ვიტყოდეთ ქებასა მისსა წინაშე ყოველთა კაცთა, არა
ვტყუოდეთ, არცა გურცხუენოდის. ვითარ იტყუის დავით მიმა
ღ-თისა იქმნეს მშუილდ-რვალისა მკლავნი მისნი და ექნა
შემწედ მაცხოვარება მისი:

ესრეთ წარმართებასა და ბედნიერობასა შინა მათსა და
10 მათი რუსუდან ითხოვეს ხლათსა დასასმელად დიდმან სულ-
ტანმან მელიქმან, რომელსა ეგვპტით ვიდრე ხლათამდის
სპარსეთი ჰქონდა, და დაშალა მოწყალეებამან ღ-თისმან და
არა ყო ესრე:

შემდგომად ამისსა დიდითა შემოხუეწითა სთხოვა შარ-
15 ვან შაჰმან. უქადეს და უბრძანეს მიცემისა პირი. გაგზავნა შარ-
ვანს ქართლისა ერისთავი და თუით გიორგი მეფე ბაგავანს
მივიდა გაკაზმად და მიცემად დისა მისისა და ათ დღე [დაყო].
დრო იყო წასულისა მისისა. ხოლო ღმერთმან მოგუთავო პა-
ტიჟად ცოდვათა ჩუენთა: მოკუდა გიორგი მეფე ბაგავანს იან-

20 ვარსა ათურამეტსა, დღესა ოთხშაბათსა, ქრონიკონი იყო:
ოთხას || ორმ[ე]ოცდა ორი: და იქმნეს საშინელნი ტკივილნი, Aლ 17

კრემლთა წილ გულითა სისხლის დენანი, წარწირვანი დარ-
ჩომისა და სიცოცხლისა თანააღზრდილთა და მომკვსენებელთა
კეთილთა და სიამოვნეთა (sic) მისთანი, ტკივილნი და ნაცრი-
25 სა თავსა სხმანი ვაზირთა და დიდებულთა და ყოვლისა სამე-
ფოსაგან და თუით მისისა გამზრდელისა ივანე ათაბაგისაგან:

ხოლო ღმერთმან, რომელი მდიდარ არს მოწყალეებითა
და მიუწოდომელ ძლიერებითა, მოხედნა და არა განწირა ესე
სამეფო, რისხვასა შინა წყალობით მოიკცენა: ესრე ღ-თისა
30 ნებითა დარჩომილი [ა]მასვე სამეფოსა შინა რუსუდან დასუეს

1. კულაცა A.— 9, დაა A.— 10-11 სურტანმან A.— 14-15 შარვაშე A.—
16,7 შავგანს A.— 18 მოგუთავო ღმერთმან A.— 19 შავგანს A.— 20 თურამეტსა
A.— 21, რვას A.— 27-29 ხოლო..... მოიკცენა A-ში ან ადვილას ვი ან არის,
არაჲდ იგი მოსდეს სიციყას „მისისა“ 29-18 სტრიქონში.

მეფედ მასვე წელიწადსა, უკეთუმცა ღმერთსა წარწყმედისაგან არა დავეცვენით, აღარ საგონებელ იყო სიკოცხლესა ტკივილისაგან ძმისა მისისა:

წაიყვანეს მაშინვე გელათს, დამარხეს საფლავსა მამისა მისისაა. და არა დარჩა ცოლსა თანა გვრგვინისა შვილი: 5

ხოლო ღმერთმან ყოვლისა სახიერებისამან, რომელი არა განსწირავს მოშიშთა მისთა, დაიცან სამეფო ესე და მეფე ჩუენი ღთივ-გვრგვინოსანი რუსუდან და ყავნ ნაყოფი მისი ჩუენდა სალხინებელად თესლითი თესლამდე და მიეცინ სიმრავლე წელიწადთა, შემდგომად უწინარესი და სასუფეველი 10
კათა:

2 საგონი სიკოცხლის A.— 8 გურიგუინოსანი A.

ს ა კ ი ე ბ ე ლ ი .

- აბულეთის ძე ივანე 13₆
 აგარანი 19₃
 აგარანი სომხითისანი 17₁
 ამბერდი 15₁₂
 ანისი 13₂₀, 15₁₃
 არდაველი 18₁₄₋₁₅
 არღოხის ძე სალღუხი 13₂₅
 არტანი ქუენა და ზენა 11₂₀
 ასპანის ძე ზაქარია 15₃
 აფხაზეთი 14₅, 16₄
 ბანა 15₂₇
 ბაგავანი 19_{16, 19}
 ბაგრატიონთა ტომი 16₁₂
 ბალის წყალი 18₂₈₋₂₉
 ბარგუშატი 15₁₂
 ბარდავის ჭალა 19₁₋₂
 ბასიანი 15₁₇, 18₂₀
 ბივრიტელი 15₂₀
 ბიჯნისი 15₁₂
 განძა 13₂₄, 15₆, 18₂₅
 გავალისჯარი 13₂₇, 14₁
 გელათი 14₁₄, 17₃, 20₄
 გელაქუნი 15₁₂
 გიორგი მეფე, ძე დემეტრე მეფისა 12_{18, 25}, 18₃₀₋₃₁, 19_{16, 19}
 გიორგი მეფე, თამარ მეფეთ-მეფის ძე 16₁₉, 17₉, 13, 18₃₀₋₃₁, 19_{16, 19}
 გუზან ტაოსკარელი 15₂
 დავით დიდი მეფე, აღმაშენებელი 11_{3, 18}, 22
 დავით მეფე, ძე დემეტრე მეფისა 12₁₆
 დავით, თამარ მეფეთ-მეფის ქმარი 16₁₁
 დავით, მამა ლთისა 19₆
 დარუბანდის გზა 19₄
 დემეტრე მეფე, ძე დავით აღმაშენებლისა 11_{2, 5}, 12₂₀, 13_{4, 5}
 დემეტრე უფლისწული, დავით მეფის შვილი და გიორგი მეფის ძმისწული 12₂₄, 13₁
 დვინი 15₁₀
 დიმუშკი 15₁₆
 ერანის ქუეყანა 16₁₇
 ერზინკელი 15₁₉
 ვანანდის ციხენი
 ზაქარია ასპანის ძე 15₃
 ზაქარია მკარგრძელი 15₈, 18₁₀
 თამარ, დაჲ დემეტრე მეფისაჲ 12₂₀₋₂₁
 თამარ დიდი, მეფეთ-მეფე 14₁₅, 16₂₁, 17₂₀, 18₁₂
 თიღუა 12₂₁
 თორელი შალვა 18₂₁₋₂₂
 თურქნი 13₂₀
 იერუსალემი 14₂₀
 ივანე აბულეთის ძე 13₆
 ივანე ათაბაგი მკარგრძელი 15₉, 18₁₁, 19₂₁
 ილდღუზი 13₂₆
 კარი 15₂₆, 18₁₃
 კარნიფორის ციხე 15₂₆₋₂₇
 კარნუქალაქი 18₁₉, 19₂
 კატა დედოფალი 12₂₂₋₂₃
 კახეთი 11₁₈, 14₁₂

- კეჩროლი 18₂₁
 კლარჯეთი 13₂₇
 კლდეკარნი 13₁
 ლომთა-გორი 19₃
 ლორე 12₂₆
 მარანდი 16₁₆
 მელიქ, დიდი სულტანი სპარსე-
 თისა, ხლათელი 19₁₁₋₁₂
 მეტეხი 13₇
 მთაწმიდა 14₂₀
 მთიული 16₇₋₈
 მცხეთა 13₂₋₃
 მკარგძელი ზაქარია, მანდა-
 ტურთ-უხუცესი და სპასალა-
 რი 15₈, 18₁₀
 ნახჭევანი 18₂₅
 ოგსნი 14₆, 16₇
 ოგსთა მეფე დავით, თამარ მე-
 ფეთ-მეფის ქმარი 16₁₁₋₁₂
 ორბელნი 12₂₅, 12₂₆—13₁, 14₃
 ოროტო 18₂₄
 ოშკი 15₂₇
 საბერძნეთი 14₂₀
 სალდუხი 13₂₁, 25
 სამოქალაქო 14₅
 სოლომონ მეფე 11₈₋₉
 სომხთი 11₁₉, 17₁, 18₂₇
 სპარსეთი 13₁₇, 27, 15₃, 16₁₆, 18₁₄
 სპარსეთობა 12₄₋₅
 სტაგირი 14₁₂
 სუანეთი 14₅
 სუანი 16₈
 სუქმანეთნი 12₃
 ტაო 11₂₀
 ტაოსკარელი გუზან 15₂
 ტაშირი 11₁₉
 ტფილისი 11₁₇
 უცხოთესლნი (= მონღოლებს)
 18₂₇
 ქართლის ერისთავი 19₁₆
 ქუელაძორი ციხე 12₁₋₂
 ყივჩაყნი 14₆, 16₈
 შავი მთა 14₂₀₋₂₁
 შავშეთი 13₂₇
 შალვა თორელი 18₂₁₋₂₂
 შამელი 15₂₀
 შამი 13₂₅
 შანქორი 18₂₆
 შარვანი 19₁₅₋₁₆
 შარვანის სახლი 14₇
 შარვანშაჰი 19₁₄₋₁₅
 ჩხერეს მერე 13₆
 ხახული 15₂₇
 ხლათელი 18₁₇
 ხლათი 13₂₄, 18₁₆₋₁₇
 კუაფრიდის, კიდი 15₁₃
 ჯავახეთი 11₁₉
 ჯაზირა 13₂₅
 ჰერეთი 11₁₈, 19, 18₂₇

ს ა რ ჩ ე ვ ი.

	33.
1. წინასიტყვაობა	5 — 9
2. ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატინეს ტექ-	
სტი:	11 — 20
ცხორება დემეტრე მეფისა	11 — 13
ცხორება გიორგი მეფისა	13 — 14
ცხორება დიდისა მეფეთ მეფისა თამარისი . . .	14 — 17
ცხორება გიორგი მეფისა, თამარის ძისა	17 — 20
3. საკუთარი, საგვარეულო, ტომობრივი და	
გეოგრაფიული სახელების საძიებელი	21 — 22

ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა

ტფილისი-გაკვ, უნივერსიტეტის ქ. 1

ქართული ძეგლები:

- I. საეკლესიო მწერლობა: № 1. კ. კეკელიძე, თარგმანებად ეკლესიასტისაჲ მიტროფანე, ზმჯრნელ მიტროპოლიტისაჲ. ტფილისი 1920 გვ. LXXXIII+229. ფასი 1 მ. 50 კ.
№ 2. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ცხორებაჲ წმ. გრიგოლ პართელისაჲ. ტფილისი 1920. გვ. VIII+31. ფასი 40 კ.
- II. საერო მწერლობა: № 1. გ. ჯაკობია, იოსებ-ზილიხანიანის ქართული ვერსიები (კრიტიკული ტექსტი ლექსიკონისა და საძიებლე-ბის დართვით). პირველი ნაწილი: ტექსტები. ტფილისი 1927. გვ. 011+186. ფასი 3 მ. 50 კ.
- III. საისტორიო მწერლობა: № 1 ს. ყაუხჩიშვილი, ხრონოლოგიკი გიორგ იმონაზონისაჲ. ტფილისი 1920. გვ. XXVII+329. ფასი 1 მ. 50 კ.
№ 2. ივ. ჯავახიშვილი, ლაშა-გიორგის-დროინდელი მემბტიანე ტფილისი 1927. გვ. 23. ფასი 50 კ.
- IV. კანონმდებლობა: № 1. ექ. თაყაიშვილი, კელმწიფის კარის გარიგება. ტფილისი 1920. გვ. XXXVIII+32. ფასი 50 კ.
№ 2. ლ. მელიქსეთ-ბეგი, სამართალი სომხური, ქართული ვერსია შესრულებული ვახტანგ მე-VI-ის ბრძანებით. ტფილისი 1927. გვ. XVI+253+III. ფასი 3 მ. 50 კ.
- V. სიგელ-გუჯრები: № 1 ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი I. ტფილისი, 1921. გვ. VI+164. ფასი 1 მ.
№ 2. ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი II. ტფილისი 1921. გვ. VI+180. ფასი 1 მ.
-